ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 259. შაბათი, 19 ივლისი.

1896—1897

შაბათი, 19 ივლისი, № 259.

რედაქცია:
ტფილისი, ფრეილინის ქუჩა, № 13.
ხელის მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიჰმართვენ რედაქციას დილის 10 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე და „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიას.
ხელმოუწერავ წერილებს რედაქცია არ ჰბეჭდავს.

პირისპირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველდღე.
ტელეფონი № 363.

ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური სახალხო გამოცემა

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ნახევარის წლით 4 მან.
თითო ნომერი 3 კაპეიკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე 5 კაპ.

Тифлисъ, Фрейлинская № 13. Редакція
„Цнобисъ Пурцели“.
Телефонъ № 363.

ხელის-მომწერთა
საყურადღებოდ.
ვისაც
ხვედრი ფული
არ შემოუტანია,
იმათ გაზეთის
გზავნა
მოესპობა.

გაზეთი
«ცნობის ფურცელი»
წლის დამლევამდე ღირს
ოთხი |4| მან
«საქართველოს კალენდრით»

ქართველ მკითხველთა საყურადღებოდ

ჩვენ განვიზრახეთ ცნობილ რუსის ე. ვოდოვოზოვის თხზულება
«როგორ ცხოვრობს ხალხი ქვეყანაზე»
(ინგლისელები, იტალიელები და გერმანელები)
ქართულად ვთარგმნოთ და დავსტამბოთ.

ჩვენი სურვილი მხოლოდ ის არის, რომ ეს სასარგებლო წიგნი ქართველ საზოგადოებაში გავრცელდეს. ამიტომ, ჩვენ განვიზრახეთ წინ-დაწინ ხელის-მოწერით შევაგროვოთ მის გამოცემისათვის საჭირო ფული.

წიგნი სამ ტომად გამოვა, ექნება 600 გვერდამდე, 18—30-მდე სურათები და ეღირება 1 მანათი და 20 კაპ.

ვინც წინდაწინ შემოიტანს ფულს, წიგნი დაეთმობა მანათად.

გამოცემას ჰკისრულობს ამხანაგობა „გლეხი“.

ხელის-მოწერა მიიღება შემდეგს ადგილებში:

ტფილისში—ბ ნ ზაქ. ჭიჭინაძესთან; გორში—ექვთიმე კოპლატაძესთან; ხაშურში—სტეფანე ნოზაძესთან; ჭიათურაში—ერმალოზ კიწმარეიშვილთან და გერასიმე ბერიძესთან; საჩხერეში—იასონ ღამბაშიძესთან; შორაპანში—ილიკო ნაცირაძესთან; ზესტაფონში—ილია მაღლაკელიძესთან, ვანო არდიშვილთან და ტრიფონ ნიორაძესთან; ოზურგეთში—ლადიკო ჩხაიძესთან; ქუთაისში—თეოფილე ხუსკივაძესთან, ბეჟანიშვილისა და ჭილაძის წიგნის მაღაზიებში და მიტროფანე ლაღიძესთან; ახალ-სენაკში—კ. თავართქილაძის წიგნის მაღაზიაში; ბათუმში—მიხეილ გაჩეჩილაძესთან; სოხუმში—მამა ბესარიონ ხელაიასთან და ყარპეზ წეროძესთან; გუდაუთში—ბაგრატ მჭედლიძესთან; ნოვოროსისკში—სილოვან კალანდაძესთან და სხვაგან ყველა წიგნის მაღაზიებში.

პირდაპირ ფულის გამოგზავნა შეიძლება ამ ადრესით: Батумъ, Михаилу Гачечиладзе.
(30—17)

თავ. დიმიტრი მაჭუტაძის და თეიმურაზ ჩაჩავას
ხე-ტყის ქარხანა
კოდორი, სოხუმის ოლქში
ქარხანა ღებულობს ყოველგვარ შეკვეთას დახერხილ ხე-ტყის მასალებისას. ქარხანაში გამართულია სახერხი მანქანები და სხვა-და-სხვა მოწყობილობა ამ საქმისათვის.
ერთად-ერთი ქარხანაა მთელ კავკასიაში, რომელიც ამზადებს
წაბლის ფიცრებს
ყოველგვარ ზომისას, 3 არშინიდან მოყოლებული 12-მდე და აგრეთვე სხვა-და-სხვა სისქისას და განისა.
◆ ფასი მასალებისა მეტად იაფია ◆
დამდეგის წლის მაისიდან გაიხსნება უმთავრესი საწყობი ქარხნისა ქ. ბათომში.
მსურველთ შეუძლიათ ქარხანას მიჰმართონ შემდეგის ადრესით: ოჩემჩირეში თეიმურაზ ჩაჩავას, ბათომში თავ. დიმ. მაჭუტაძეს. ფოსტის ადრესი: Батумъ: кн. Димитрію Мачутадзе, ანუ Очемчиры, Теймуразу Чачава.
(300—144)

„ბანკის ბაღი“
სასახლის ქუჩა, სათავად-აზნაურო მამულში.

დღე მუდამ საყოველთაო სეირნობა

ყოველ საღამოს იმართება მომღერალთა გუნდის კონცერტები, სასუმარო სცენები, ცეკვა-თამაში, სიმღერები და სხვა.

მომღერალთა დასი შესდგება შემდეგის არტისტებისაგან: პაპაზიანი, დოცენკო, ბროცენკო, პოლიანსკი, ჩისტიაკოვისა, სუდდინისა, კარლინენკო და სხ. მრავ. სიმღერებს და სცენებს ასრულებენ შესაფერის ტანისამოსებით.

დირექცია შვამისა.

საღამოობით ბაღში უკრავს საზანდარი დღისით შუადღიდან 4 საათ. სამხედრო მუსიკა. სეირნობა და დროს გატარება იწყება საღამოს 9 საათიდან.

ბაღში შესვლის ფასი 20 კაპ.

ბაღთან გამართულია
მშვენიერი ბუფეტი და რესტორანი
საჭმელ სასმელი საგანგებოა, როგორც ადგილობრივი, აგრეთვე ევროპიული. საჭმლები მზადდება განსაკუთრებით კარგად.

სადილი 4 კერძი, არაყი, ნახევარი ბოთლი ღვინო და ყავა . . . 1 მან.
— 2 კერძი, არაყი და ბოკალი ღვინო ღირს . . . 50 კაპ.

როსტბიფები, აუზები და კერძო ხეივნები.

!!მიიღება შეკვეთა დიდ სადილ-ვახშმებზე იაფ ფასად!!

ბაღში იყიდება იაფად ყოველნაირი ყვავილები, თაიგულები და სხვა.

იქვე გამართულია სამი ფრეიბერგის ბილიარდი.

ფასი ყველაფერზე ზომიერია.

ბაღის პატრონი გ. ნ. სხირტლაძე.
(10—4)

„Банковскій садъ“
Ежедневное развлеченіе:
Хоръ, пѣвицы, пѣвцы, танцы, куплеты и проч.
Военный оркестръ и сазандари.
РОСКОШНЫЙ БУФЕТЪ
образцовая кухня, провизія свѣжая.
Цѣны на все умѣренныя.

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე. კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათსაათ, ვისაც სჭირს: სნეულებანი სახირურგიო, ვენერიული (სიფილისი) და შინაგანი.

გ. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: შინაგანი, თვალისა და ნერვებისა.

მკ. ქალი ა. ი. დუნაევა-რუდენკო 11—12 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისა და ბავშვებისა.

ზ. ი. ბაბანასიანცი.—დილის 10—11 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით; და $1^1/_2$—2 საათ. ორშაბათობით, სამშაბათობით და ხუთშაბათობით.

ი. ფ. პროტასევიჩი. 12—1 საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკ.

ა. მ. ზუგინოვი. 12—1 საათამდე. შინაგან, ბავშვთა და ნერვის ავადმყოფობისა, სამშაბათ, ხუთშაბათ და შაბათობით.

ა. ბ. კარაპეტიანცი. 1—$1^1/_2$ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ი. ფ. პროტასევიჩი. 5—6 საათ. სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

ა. მ. ზუგინოვი. 5—6 საათ. ორშაბათ, ოთხშაბათ და პარასკეობით.

ბ. ა. ნავასარდიანი. $6^1/_2$—$7^1/_2$ საათამდე.

სამკურნალოში გამოიკვლევენ ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი. (წ.)

სამკურნალო და ამბულატორია
ს. ბ. თოფურიასი
ქუთაისში

სამკურნალოში 40 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი.

გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან.

ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგანს და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს ს. ბ. თოფურია.

საქირურგიო ავადმყოფობას და სიფილისს—ფ. ა. ბერაძე.

დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი მ. თ. კობანი.

თვალების ავადმყოფობას—ი. ა. არშაველი.

ამბულატორიაში არის კაბინეტი, საქიმიო და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისთვის და მასაჟისთვის.

სამკურნალოს დირექტორი ს. ბ. თოფურია.
(წ.)

ქართული თეატრი.
საზაფხულო თეატრში „ერმიტაჟი“
კვირას, 20 ივლისს,
ქართულ სცენის მოყვარეთაგან წარმოდგენილი იქნება:

I
ბაიყუში
კომედია 2 მოქ. ცაგარლისი.

II
არც აქეთ არც იქით
ვოდ. 1 მოქმ. გუნიასი.

III
დივერტისმენტი და ლეკური

ანტრაქტებში დაუკრავს გამოჩენილი მომღერლის გუნდი
ბულბული-ბაღი

ადგილების ფასი დაკლებულია.
დასაწყისი სეირნობისა 7 საათზედ,
წარმოდგენისა 9 საათზედ.

დეპეშა

გაზეთ „ცნობის ფურცლისა“.
„რუსეთის სატელეგრაფო სააგენტოსაგან“
17 ივლისი

ამსტერდამი. ჰოლლანდიის გემის კაპიტანი იუწყება: „ანდრეს გაფრენა მხოლოდ მაშინ შევიტყვე, როდესაც გრიმზბში მოვედი. თეთრს ზღვაში რაღაცა უცნობი საგანი დავინახე, მაგრამ ვერ გავარჩიე, რა უნდა ყოფილიყო იგი. ხსენებული საგანი 17 ივლისს, დილით, ვნახეთ ჩრდილო სიგანის 69°38'-ზედა და 35°34' აღმოსავლეთის სიგრძეზედ“.

კელნი. სტამბოლის მოლაპარაკებათა შესახებ „კელნის გაზეთს“ სწერენ: „მშვიდობიანს ხელშეკრულებაში მოხსენებული არ არის თავდებობა იმისი, რომ სამხედრო გარდასახადი უთუოდ მიეცემა ოსმალეთს. შეუძლებელია მოვსთხოვოთ სულთანს, მიიღოს ხელშეკრულება, რომლის შესრულებაც საბერძნეთის მხრივ დიდად საეჭვოა. ამ შემთხვევაში საუკეთესო თავმდებობა მხოლოდ ის იქმნებოდა, რომ საბერძნეთის ფინანსებისათვის ევროპის მხრივ კონტროლი ჰქონოდა დანიშნულიო“.

სტამბოლი. ცხრა მუხლი მშვიდობიან ხელშეკრულობისა უკვე შედგენილია. მოსალოდნელია სახელმწიფოებმა განაცხადონ, რომ საბერძნეთის ფინანსებს კონტროლი დაენიშნოს. ოსმალეთის მაღალს წრეებში ხმა დადის, რომ ვიდრე ხელშეკრულობას ხელს მოაწერდნენ უთუოდ მოითხოვენ, რომ კრიტოსის საქმე გარდასწყდესო.

ბერლინი. სამხედრო გარდასახადის საქმეში გერმანიის საქცისლის

შესახებ „ნაციონალური გაზეთი“ სწერს: „შეუძლებელია იფიქროს ვინმემ, ვითომ ბერლინის კაბინეტი თავისის განსაკუთრებულის მდგომარეობით სარგებლობდეს და სამხედრო გარდასახადის საქმეს ხელს უშლიდეს, აფერხებდეს. ბერლინის კაბინეტი მხოლოდ იმასა სცდილობს, რომ მომავალში მოსალოდნელი საყვედური თავიდგან აიცილოს, ვითომ იგი სულთანს აქეზებდა თესალიის გირავნობაზედ უარი ეთქვა და იმედს აძლევდა, იმედს, რომელიც ყველასათვის ნათლად სჩანს, რამდენადაც შემცდარიაო“.

ᲥᲠᲘᲡᲢᲘᲐᲜᲘᲐ. ნანსენი ამბობს, საეჭვოა ის ამბავი, ვითომ ანდრეს ჰაეროსტატი თეთრს ზღვაში ენახოთო.

ᲑᲝᲛᲑᲔᲘ. ბომბეის გუბერნატორთან არსებულის საკანონმდებლო საბჭოს ერთი წევრი ინდოელი, რომელსაც მცხოვრებთა წაქეზება ჰბრალდება, შეპყრობილ იქმნა.

ბრიტანიის სახელმწიფოს წინააღმდეგ მომხდარ აჯანყებისა გამო პუნაში რამდენიმე კაცი შეიპყრეს და ამათ შორის გაზ. „კესარის“ გამომცემელიც. მოსალოდნელია, რომ ჯერ კიდევ ბევრს დააპატიმრებენ.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ

⁂ **ქართული წარმოდგენა სცენის მოყვარეთაგან.** კვირას, 20 ივლისს, საზაფხულო თეატრში, რომელსაც ეწოდება „ერმიტაჟი“, გაიმართება ქართულ სცენის მოყვარეთაგან წარმოდგენა. წარმოადგენენ 2 მოქმ. კომედიას „ბაიყუშს“ და 1 მოქ. ვოდევილს—„არც აქეთ არც იქით“. სხვათა შორის საამური მომღერალი აბდულ-ბალი მიიღებს მონაწილეობას. ამ წარმოდგენაში სცენის მოყვარეები იღებენ მონაწილეობას, რომელნიც ახლად გამოდიან სცენაზე, ამისათვის სასურველია თეატრის გამგეობის რომელიმე წევრთაგანი დაესწროს ამ წარმოდგენას.

⁂ **ქართული წარმოდგენა ნაძალადევში.** იმ კვირისათვის დანიშნული წარმოდგენა გადაიდვა ხვალისათვის. წარმოდგენაში მონაწილეობას მიიღებს ბ-ნი ადამიძე.

⁂ **ტფილისის ახალი გუბერნატორი.** ახლად დანიშნული ტფილისის გუბერნატორის ადგილზე ს. ს. თეოდორე ალექსანდრეს ძე ბიკოვი სამარის გუბერნიის აზნაურის გვარისაა. განათლება მიიღო უმაღლესს სასწავლებელში. თ. ა. ბიკოვი 1870 წლიდან იმყოფება კავკასიაში და სასამართლოს სხვა-და-სხვა სამსახურის თანამდებობა ეჭირა. გუბერნატორის ადგილზე დანიშვნამდე იგი ტფილისის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარედ იყო. თ. ა. ბიკოვი კავკასიაში ცნობილია, როგორც პატიოსანი მშრომელი, სინიდისიერი მოსამართლე და მიუდგომელი კაცი.

⁂ **გადარჩევა პოლიციის არხივის საბუთებისა.** მკითხველებს ეხსომებათ, რომ ტფილისის პოლიციაში დანიშნულია კომისია, რომელმაც უნდა გადაარჩიოს ყველა დოკუმენტები არხივში შენახული. ამ კომისიის თავმჯდომარემ ბ. ტატიშვილმა აცნობა პოლიცმეისტერის მოადგილეს ბ-ნ ლოლაძეს, რომ კომისიამ აქამდე გადაარჩია საბუთები მხოლოდ ათის წლისა (1876—1886 წ.), ბევრი საყურადღებო საბუთები იქმნა ნაპოვნი როგორც კერძო პირების, აგრეთვე ტფილისის ისტორიის შესახებო.

⁂ **ბ-ნ გოლცევის ჩამოსვლა ტფილისში.** ამ დღეებში ტფილისში ჩამოვა რუსეთის ცნობილი პუბლიცისტი ბ-ნი გოლცევი, რომელიც ტფილისში დარჩება ერთ კვირამდე.

⁂ მიწად მოქმედების სამინისტრომ დაინახა საჭიროდ, რომ იმპერიაში გავრცელდეს რიცხვი მომზადებულ მებაღეებისა. ამისთვის მან დააარსა „სალგირკაში“, სიმფეროპოლის ახლოს, მუშების მოსამზადებელი კურსები. შემდეგის წლისთვის ესეთი კურსები დაარსდება ყველა იმ ადგილებში, სადაც სახელმწიფო მამულები არსებობენ. მუშების კურსებზე მიიღებიან ყველა ჯან-საღი, ვინც 16 წლისა და მეტისაა. მიღება შეიძლება წლის ყოველ დროს, გამოშვება-კი შემოდგომობით. კურსი სამ წლიანია. ამ ხანში მუშებმა უნდა პრაქტიკულად შეისწავლონ ყველა ნაყოფიერი ხის და მცენარის მოვლა, ბრძოლა მავნებელ მწერების წინააღმდეგ და სხვა. ყვავილების მოვლა, მებოსტნეობა და იმპერიის სამხრეთ ნაწილებში მევენახობაც. ვინც სამი წლის შემდეგ ღირსეულად დაიჭერს ეგზამენს, ბაღის მუშის მოწმობას მიიღებს.

⁂ **ქალაქის განათება ელექტრონის სინათლით.** 17 ივლისს სამთო ინჟინერმა ბ-ნ ჩერნევსკიმ ქალაქის გამგეობაში შეიტანა წინადადება, რომ მე და ფრანგს ედმონდ კაზს გვსურს ავიღოთ ქალაქის განათება ელექტრონის სინათლითო, აქვე წარუდგინა გამგეობას პროექტი ქალაქის განათებისა და მის პირობებისა. ამ პროექტით, გამგეობამ ანუ ქალაქმა უნდა იხადოს წელიწადში 20 ათასი მანათი ქალაქის განათებისათვის. ფასი განათებისა ასეა გამოანგარიშებული: ქალაქის და სახელმწიფო შენობების განათება საათში თითო ლამპარი ეღირება 5,628 კაპ. კერძო შენობების განათება თითო საათში თითო ლამპარით 50 სანთლის ძალით არ აღემატება 7,504 კაპიკს. პროექტის ავტორი ითხოვს, რომ ქალაქის განათება უნდა 50 წლის განმავლობაში იყოს მოიჯარადრების ხელშიო. ამ ვადის იქით განათების ყველა მოწყობილებანი დარჩება ქალაქს საკუთრებადო. ქალაქს უფრო ადრეც შეუძლიან შეისყიდოს ქალაქის განათება, ხოლო არა უადრეს 25 ან 40 წლისა. მოიჯარადრენი ჰპირდებიან, პირობის დაწერის ორი თვის შემდეგ შევუდგებით ყველა უმთავრესს ადგილებში ელექტრონით განათებასო, ხოლო მთელს ქალაქში-კი ორი წლის განმავლობაში მზად იქნება ელექტრონის სინათლეო.

ვნახოთ რას იტყვიან ჩვენი ქალაქის პატრონ-ბატონნი. ეჭვი არ არის, ისევ უცხოელთ ჩაუგდებენ ხელში დიდ-ძალ შემოსავალს, როგორც ტრამვაი და სხვა....

⁂ **ტფილისის ვაჭრები მაკარიაში.** 16—17 ივლისს ტფილისიდგან გაემგზავრა ნიჟეგოროდის იარმარკაზე (მაკარიაზე) 28 ტფილისელი ვაჭარი. ამათ წაიღეს 209 ფუთი ცხვრის ტყავი, 5 ფუთი ვერცხლეულობა და 4,000 ფუთი მატყლი. ნუ თუ ეხლაც ვერ დარწმუნდებიან ჩვენები, რომ რაც ერთს კაცს არ ძალუძს, იგი ადვილია ბევრისათვის. განა ჩვენებურ ვაჭრებს არ შეეძლოთ საერთოდ მოეხერხებინათ რამე?..

⁂ **საზოგადო სამკურნალო კახში.** 10 ივლისს, სოფ. კახში გაიხსნა პარაკლისის შემდეგ აქაური საზოგადო სამკურნალო ქსენონი. გახსნაზედ დაესწრნენ ყველა ადგილობრივი და ზაქათალის ოლქის მმართველობის წარმომადგენლები. ექიმმა ივ. ელიაშვილმა სამკურნალოს გახსნის თაობაზე შესაფერი სიტყვა წარმოსთქვა, მსმენელებს დაანახვა სამკურნალოს მნიშვნელობა და მკითხავ-ბებიების წამლობის მავნებლობა. სოფელს ამ სამკურნალოს გახსნა აქამდის უზის 750 მან. წლიური გასავალი მხოლოდ ექიმების შესანახად გამოანგარიშებულია 2,604 მან.

⁂ **ნავთიანი ადგილების გამოკვლევა.** ახლო მომავალში გეოლოგიურად და მეცნიერულადაც გამოიკვლევენ კავკასიის იმ ადგილებს, სადაც ნავთის წარმოება იმედს იძლევა, („პეტ. უწყ.“)

⁂ **პოლიტეხნიკუმი საქართველოში.** სატახტო ქალაქის გაზეთების სიტყვით, ამ ზამთარს გადასწყდება შუამდგომლობა ტფილისისა და ქუთაისის თავად-აზნაურობისა შესახებ ტფილისში პოლიტეხნიკუმის დაარსებისა სამთო, სამეურნეო და მეღვინეობის განყოფილებით.

⁂ **გზათა მინისტრის ბრძანება.** სატახტო გაზეთების სიტყვით, გზათა მინისტრმა გამოსცა ბძანება, რომ იმ მგზავრებს, რომელთაც თავის სამსახურით უფასო ბილეთები ეძლევათ რკინის გზებზედ, არა აქვთ ნება ადგილები დაიჭირონ ქალების ვაგონებში. აგრეთვე არ უნდა ეჭიროთ ადგილები სხვა უფასო ბილეთების პატრონებს ვაგონებში, როდესაც ფასიან მგზავრთათვის ვიწროობა და ადგილის უქონლობაა.

⁂ **სამეურნეო გამოფენა ყირიმში.** 1 სექტემბერს გაიხსნება იალტაში გამოფენა ღვინეულობისა, ბაღეულობისა და თამბაქოსი. გამოფენა იმართება ადგილობრივ ღვინის და ბაღეულობის მწარმოებელთაგან და ერთს თვეს გასტანს.

⁂ **სამეურნეო სასწავლებლის დაარსება დარუბანდში.** დარუბანდის თვით-მმართველობამ უკანასკნელ ხანებში დაადგინა: გაიხსნას სამეურნეო სასწავლებელი მებაღეობის და მეღვინეობის განყოფილებით. რადგან სასწავლებლის შესანახად ქალაქს საჭირო თანხა არა აქვს, ამიტომ გამგეობამ გადასწყვიტა: სასწავლებლის ასაშენებელი საჭირო ფული, 30 ათასი მანათი, გამოიღოს ქალაქის სათადარიგო თინხიდგან. საჭირო მიწა სასწავლებლისთვის დაეთმოს უფასოდ.

⁂ **ახალი საზოგადოება „მიწად მოქმედის დახმარება“.** პეტერბურგში არსდება ახალი საზოგადოება—„მიწად-მოქმედის დახმარება“, რომელსაც მიზნად აქვს შეღავათიანი პირობებით მიაწოდოს მიწად მომქმედებს სამუშაო იარაღები და მანქანები. საზოგადოება იღებს ხორბალს მიწად მომქმედისგან გასაყიდათ იმპერიაში და საზღვარ გარეთ. („პეტ უწყ.“)

⁂ **პოლკოვნიკის ჭილაევის გადაყვანა ახალს თანამდებობაზედ.** იმავე გაზეთს გაუგონია, რომ მთავრობის განკარგულებით, შტაბ-ოფიცერი ტფილისის კომენდანტის გამგეობისა პოლკ. ჭილაევი გადაყვანილ იქნება რკინის გზის კომენდანტის ადგილზე შიდა რუსეთის ერთ-ერთ გუბერნიაში.

⁂ **პოლკოვნიკი გრაფი ესსენ-სტენბოკ-ფერმორის გადასვლა პეტერბურგში.** კავკასიის მხედრობის სარდალთან მყოფი პოლკოვნიკი გრაფი ესსენ-სტენბოკ ფერმორი, როგორც გაზ. „ნ. ობოზ.“ გაუგონია, თავს ანებებს კავკასიაში სამსახურს და პეტერბურგის სამხედრო ოლქში გადადისო.

⁂ **ახალი სავაჭრო და სამრეწველო ამხანაგობა.** გურიაში, როგორც შევიტყეთ, არსდება ახალი საალებ-მიცემო და სამრეწველო ამხანაგობა, სახელდობრ „გურიის სავაჭრო და სამრეწველო ამხანაგობა კონსტანტინე ჩითანის ძე თავართქილაძისა და ამხ. „შუამავალი“. წესდების პროექტი უკვე შედგენილია. საწევრო ფული ორი თუმანია.

⁂ **ხონელების სურვილი გიმნაზიის დაარსებაზე.** გაზ. „ნ. ობ.“ სწერენ ხონიდგან, რომ იქაურებს დიდი სურვილი აქვთ დააარსონ ხონში კერძო გიმნაზია, რომელსაც ისევე უფლება ექნება, რაც სახელმწიფო გიმნაზიებს. ამ გიმნაზიაში, ხონელების აზრით, მარტო ხონელების და მის მიდამო სოფლების ყმაწვილები-კი არ გაიზდებიან—აქ მიიღებიან ყმაწვილები სენაკის, ლეჩხუმის და ზუგდიდის მაზრებიდგან და, რადგან ხონელებს არა აქვთ ისეთი შეძლება, რომ მარტო თითონ გაუძლვენ გიმნაზიის ხარჯს, ამიტომ მათ შეუდგენიათ კომიტეტი, რომელმაც უნდა მოუწოდოს ყველა საპატიო პირს იმერეთ გურია-სამეგრელოში და როგორმე საერთო ძალით შეადგინოს საჭირო თანხა.

მივაქცევთ საზოგადოების განსაკუთრებულ ყურადღებას ამ საგანზე და ვისურვებთ, რომ ხონში საერთო მეცადინეობით და ძალ-ღონით განხორციელებულიყოს ეს საშვილის-შვილო საქმე.

⁂ **ხეროლებული ქუჩა.** თავად ამ სიცხე-პაპანაქებაში ეძნელება კაცს სიარული და ზედ ჭავჭავაძის ქუჩის თავზედ ისეთი სუნი ტრიალებს, რომ კაცს გავლა აღარ შეუძლიან. სუნი ერთი სახლიდან მოდის, რომლის ფეხის-ადგილი აგერ ხუთმეტ წელიწადზე მეტია, რაც არ გაუწმენდიათ. სასურველია, რომ ერთ-ერთი სანიტარი გამოივლიდეს აქეთკენ და თვითონ თავის ბედნიერის ცხვირით დარწმუნდებოდეს ხსენებულს სიბინძურეში.

⁂ **ახალი წიგნაკი.** ჩვენ მივიღეთ ბათომში გამოცემული წიგნაკი „ჩვენებური ტირილი და მისი სამწუხარო შედეგი“ ლ. ჩოხატაურელისა. ამ საგნის შესახებ ჩვენს გაზეთშიაც იყო რამოდენიმე წერილი დაბეჭდილი. წიგნაკი შეიცავს 11 ბეჭდურ პატარა გვერდს და ღირს სამი კაპეიკი, რაც, შედარებით, მეტად ძვირია. ამგვარი წიგნების ფასი არ უნდა აღემატებოდეს თითო კაპეიკს, თუ გვსურს, რომ ხალხში გავრცელდეს.

⁂ **წიგნების გავრცელების საქმე.** ეს დიდებული მეცხრამეტე საუკუნეც ისე თავდება, რომ ჩვენ მისი ქებისა და დიდების ნაცვლად საყვედური და გულ-გრილად გასტუმრების მეტი აღარა დაგვრჩენია-რა. ყოველს, ცოტათ თუ ბევრათ თვალსაჩინო ერს, რომელთაც-კი კულტურული ისტორია აქვს და ასე თუ ისე ცხოვრების ახალს ფერხულშია ჩაბმული, დიდი სამადლობელი ჰმართებს ამ მეცხრამეტე საუკუნისა, მაგრამ ჩვენ კი საიმისო არა შეგვძინა-რა!. სიმართლის მოყვარე მკითხველი მაშინვე იტყვის: განა დროსა და საუკუნოებს უნდა დავაყვედროთ ჩვენი უხეირობა, უვარგისობა და დაძაბუნება-დაქვეითება? ამ საუკუნეს თავისი დიდებული სხივები არავისთვის დაუზოგავს და ვისაც უნარი და სურვილი ჰქონდა გარჯისა და გამჭრიახობისა, იმათ კიდეც ისარგებლეს მისი სიდიადითო, ხოლო ჩვენ, რა-კი ყოველისფრით უკან დავრჩით და არაფრათ მივიჩნიეთ მისი ძლიერების და სარგებლობის მნიშვნელობა, არც არა შეგვძინა-რაო და სხვა...

სწორედ რომ სამართლიანი შენიშვნა იქნება, მკითხველო, თუ რომ მართლა ასე იტყვით!.. არა, საუკუნეს რას ვერჩით, როცა ჩვენც შვილნი ამ სანაქებო საუკუნისა უკუღმართად ვიქცევით და ავი და კარგი ვერ გაგვირჩევია?! აბა დავაკვირდეთ ჩვენი ცხოვრების დამახატ-სურათებელს—ლიტერატურას, თუ რა დღეშია იგი და მაშინვე შევატყობთ, რომ ჩვენ, სხვებთან შედარებით, ძლიერ უკანა ვართ ყოველ წინმსვლელობის საქმეებში. რა თქმა უნდა, ამის მიზეზი ზოგი ჩვენ გარეშეა, მაგრამ უფრორე ჩვენი მცონარეობა და გულ-გრილობაა, ჩვენი უხალისობა და უდარდელობა. დარდი, ქვეყნისა და ერის ვარამის განკურნების წადილი დიდი რომ არის... გვიკვირს და ხშირად ბრაზიც მოგვდის, რომ სხვები წინ გვასწრობენ და ჩვენი დღეგრძელობის საქმე წინსვლის მაგიერ კიბოსავით უკან მიფოფხავს, ხოლო ის-კი არ გვიკვირს და არ გვაბრაზებს, რომ ჩვენვე ვართ ჩვენი დღეგრძელობის და წარმატების მტერნი.

განა საკვირველი და გულ-მოსასვლელი არ არის, თუნდაც ის გარემოება, რომ ჩვენი მწერლობა თუ მწიგნობრობა ჩვენისავე დაუდევრობით დღე-დღეზე სუსტდება და ხელიდან გვეცლება. ამ შემთხვევაშიაც, რასაკვირველია, დიდი ღვაწლი მიუძღვისთ, როგორც მაგალითად: სკანდარნოვებს, ახპატელოვებს, ესალოვებს, ხუდადოვებს სხვებსა და სხვებსა კიდევ, რომლებმაც, ჩვენს ლიტერატურაში ჰკრეს თვისი გამურული ხელები, რითაც ორი წილი ჩვენი მკითხველებისა წამურტლეს როგორც გემოვნებით, ისე გონებითაც... ამათ გამოცემულს „საჩინენიებს“ ხალხის ბრბო ზედ ეხვევა, რადგან ჩვენზე ადრე მიხვდნენ ხალხის მოთხოვნილებას, ხოლო იმათ პურის მაგიერ ქვა-გუნდი მიაწოდეს. ხალხს ამასობაში გემოვნება გაერყვნა და ეხლა ერთი-ორად უფრო ძნელია ხალხის შეჩვევა სასარგებლო წიგნების კითხვას...

ტფილისის განვითარებული „ძმა იშები“ დიოგენის სანთლით დაეძებენ არამანიანს ძ იმათ თხუზულებებს. ერ- ახელ აი რა მიამბეს: ყარამანიანი'ავით არგი წიგნი ტყუილია. ვენაცვალე იმის ოქმელსა. ჩვენ რომ შევეტაკებით რთმანეთსა, იმას სჯობია რამე?! ვა! ავკრავ ლახტსა (ქამარზე მანიშნა) ე ქუჩუქ ყარამანი და აი იმ მანთუზ დევს (მეორე ამხანაგისკენ იბრუნა ირი) ცოცხლადვე საფლავში ჩავა- არმავებო. მე ყარამანიანით გატაცე- ულებს ავუხსენი მაგგვარ წიგნების ავნებლობა, მაგრამ იმათ აი რა მო- იგეს: ჩვენ თუმცა ასეთ „შებმაში“ რთი საყვარელი ძმა ბიჭიც შემოვაკვდა, მაგრამ მაინც ვერ მოვეხ- ნებით ყარამნიანსო“. მართალია, სეთი გამხეცებული ქუჩუქ-ყარამნე- ის მორჯულება, ძნელია—თუმცა ეუძლებელი არც ეს არის,—მაგრამ აზარდი თაობა, რომელიც ამათ რეში ტრიალებს და ამ ყარამნის ა მის გვარი სალხინოების ვარჯი- ობით იწვრთნება,—განა შესაბრა- ისი არ არის?.. შესაბრალისია, მაგ- ამ იმის ნაცვლად, რომ ამ საბრა- ო სავალალო მწუხარებას რამე შევე- ოს და ხალხის წყურვილის წერა- თხვისას ცოტაც არის მაინც ყუ- ადღება მიექცეს, ჩვენში სრული ჩუმე და მდუმარებაა! ვის რა ენა- ვლება, თუ ხალხი ყარამანიანებით ა ისკანდაროვის „სოჩინენიებით“ კვებება; ვინ იცის თუ რამდენათა ყვნის და ათახსირებს მკითხველს ენებულ ავტორთა ზნეობის, გონე- ს და გემოვნების ნაწარმოებნი!— ომ მოვინდომოთ უკვე დაბეჭდი- ების აღკრძალვა, ბევრი აღარა აგვრჩება-რა ხელში, რადგან მრა- ლი გაყიდულია კიდეც, მაგრამ მარადისო მადლს იქმენ ისინი, ნც ვალდებულნი არიან და აღ- რძალავენ ამ გვარ, ხალხის მაზარა- ებელს, წიგნებს. ამ ნაირი წიგნები ეროსაც და სასულიერო საგნებსაც წინააღმდეგება და, იმედია, ვისიც ერ-არს, უყურადღებოთ არ და'სტო- ებენ ამ საქმეს.

სხვა დაბრკოლებათა შორის ზე- ორე ნათქვამი მიზეზიც უშლის ელს ჩვენის მწიგნობრობის წარმა- ებას და ამიტომ ყოველ-ნაირი მე- ადინეობა და შრომა გვმართებს, ომ ეხლანდელი მრუდე გზით მო- არულე ხალხი ნამდვილ და სწო- ე გზაზე დავაყენოთ და მით გავას- ტაკოთ მისი გული და გონება.

40-ძე.

⁂ **საზაფხულო სამეურნეო ურსები ტფილისში.** (გაგრძელება). ორიგი ლექციები საბრეშუმო სად- ურში დაიწყო პრაქტიკული გაკვე- ილებით. მასწავლებელთა რიცხვი რ გუნდად გაიყო. როდესაც ერ- ი გუნდი ვარჯიშობდა თესვაში, ეორე მიკროსკპს და მითი აბრე- უმის ჰიის ავადმყოფობას სინჯავ- ა. პირველ გუნდს განაგებდა ბ-ნი დ. პრილიპკო, მეორეს ბ-ნი ფ. კავრაისკი. თესვაში და ნერგის ადარგვაში, და ნიადაგის მომზადე- აში მასწავლებელნი იმდენად დახე- ოვნებულნი აღმოჩნდნენ, რომ ბ-ნ რილიპკოს იმის მეტი აღარა დაჰ- ჩენოდა რა, მარტო ზედამხედვე- ობის მოვალეობა აესრულებინა, უშაობა სხვა-და-სხვა სამუშაო ნაკ- ვეთებით, ენა მახვილობით და სიმ- ღერებით მიმდინარეობდა.

შემდეგ პრაქტიკული გაკვეთილებისა, დაიწყო ლექციები. ლექციას კითხულობდა ბ-ნი ვ. პ. ივანოვი. დაწვრილებით განიხილა ნახატულობით სხვა-და-სხვა ახლად შემუშავებული აბრეშუმის ამოსახვევი მანქანები. განხილულ იქმნა აგრეთვე მანქანა, რომლის შემწეობით ძრიელ ადვილად შეიძლება აბრეშუმის ავკარგიანობის გაგება; დიდი ყურადღება მიაქცია პარკის გარეგან სახეს. უჩვენა ათას გვარი სხვა და-სხვა პარკის გარეგნული მოყვანილობა, მათში სასურველად დაასახელა ერთგვარად აბურთებული სახე, „რაც პარკი გარეგნობით ერთგვარად აბურთებულია, მით სასარგებლოა, აბრეშუმს კარგს და ბლომათაც იძლევა, თესლიც ჩინებულია“. შემდეგ ივანოვისა ლექცია წაიკითხა ბ-ნმა შავროვმა. განსაკუთრებითი ყურადღება მიაქცია აბრეშუმის ჰიის თესლს, სათესლედ ყვითელი, თანაბრად აბურთებული, კან მტკიცე პარკი უნდა აირჩიოს. ხშირად ყველა ეს ნიშნები აქვს პარკს, მაგრამ მაინც არ ვარგობს, შიგ ჰია მკვდარია ხოლმე. სხვა ნიშნებთან ერთად ჰიასაც უნდა მიექციოს ყურადღება; პარკი უნდა გაინძრ-გამოინძრეს; თუ შიგ ლაყლაყებს,—კარგია, თუ არა,—უვარგისი: ჰია მომკვდარა და პარკის შიგნითა ნაწილს მიჰკვრია. დიდი ყურადღება მიაქცია თესლის შენახვას. თესლი თითო კოვზის პირი უნდა ჩაიყაროს განგებ მათთვის მომზადებულ კოლოფეფში და თუ კოლოფები აღარ არის, ტილოს პარკებში მაინც და შეინახოს იმ ოთახში, რომელიც ჩრდილოეთის მხრივაა და არც ხურდება. პარკები ლეჩაქ მაგვარი მასალიდგან უნდა გაკეთდეს, რათა ჰაერმა თავისუფლად იმუშაოს. ჩვენში-კი თესლის შენახვა ასე იციან. ბრტყელ ქვაზედ პირ-და-პირ დაჰყრიან ჰიივ თესლს, ზოგან მჩვრებს დაუფენენ ხოლმე, თესლის რაოდენობა აღემატება შვიდ—რვა კოვზს, ზევიდამ დააფარებენ ქაშანურ ჯამს და გარშემო პირებს შემოუკირავენ, რითაც ჰაერი სრულებით მოკლებულია მუშაობას. თესლის ყიდვის დროს უნდა ხელ-მძღვანელობდნენ შემდეგით: თესლი ყვითელი არ უნდა იყოს, ცის ფერი თესლი საუკეთესოდ არის აღიარებული. კარგი თესლი გატიკნული და თანაბრად აბურთულია, სხვა გარეგანი ნიშანი თესლის ავ-კარგიანობისა არ არსებობს. ქიმიურად გაშინჯვა ასე უნდა: სითბოს გაძლიერებით თესლი უნდა გამოიყვანოს ადრე, უკანასკნელი დღის წინად, ვიდრე თესლი გამოვა, უნდა დაიჩჩქვოს საკუთრად მისთვის მომზადებულ ჰქიში, სუფთა წყლის დასხმით და ცოტაოდენი, ეგრედ წოდებული „ედკი კალი“-ის მიმატებით. „ედკი კალი“ აფთიაქში იყიდება. შემდეგ იგი უნდა გაიშინჯოს მიკროსკოპით. თუ მოგრძო, ანუ კვერცხის მაგვარი მოშავო ადგილები მოსჩანს, თესლი ავადმყოფია „პებრინით“; თუ გრგვალი ცოტად მოყვითალო, სიმსუქნის მაგვარი ადგილი—„ფელტუხ“-ით, მაგრამ აჩით ჰიას მაინც ვერ გადავარჩენთ ავადმყოფობისაგან. ჰიას ბევრი ისეთი ავადმყოფობა აქვს, რომ მარტო თესლი ვერაფერს გააწყობს. პირველი და უკანასკნელი საქმე კვებაა და ხელის შეწყობაა. კვებასთან ერთად ჰაერს და სისუფთავეს დიდი მნიშვნელობა აქვს. ერთი მისხალი თესლისთვის, რომელიც ჰიაობის დროს 12 კვადრატიულ არშინს დაიჭერს, 50,000 კუბიკური დიუმი ჰაერია საჭირო. ჩვენებურად რომ ვსთარგმნოთ, აბრეშუმის ჰიას იმდენივე ჰაერი და სინათლე უნდა, რამდენიც საჭიროა ადამიანის საცხოვრებლად, ევროპიულ მოწყობილ ოთახში. აბრეშუმის შესახებ ბ-ნმა შავროვმა დაათავა ლექცია შემდეგით: „ყველა ჩვენგანი ცხადათა ჰხედავს, თუ რამდენი უკან დევნა, მოვლა და სიფრთხილე სჭირდება აბრეშუმის ჰიას; ეს კიდევ არაფერი: ხშირად ავადმყოფობა სრულებით ხელსაც აგვაღებინებს ხოლმე, რითაც ფრიად სამწუხაროა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, აბრეშუმს დიდი მნიშვნელობა აქვს და ყოველი ღონისძიება უნდა ვიხმაროთ, რომ გავავრცელოთ იგი. აბრეშუმისაგან მზადდება სხვა-და-სხვა ძვირფასი ტანთ-საცმელი, მას ხმარობენ ელექტრო-ტეხნიკურ ქარხნებში, მისი შემწეობით მოგზაურობენ ჰაერში, მისითვე აკოწიწებენ ადამიანის ჭრილობებს. ასეთ დიდ მნიშვნელოვანი არის აბრეშუმი და ამიტომაც არის მოდებული იგი მთელს დედა-მიწის ზურგზედ. საფრანგეთში პრემიებია დანიშნული, ვინც წარჩინებულად ემსახურება აბრეშუმის საქმეს. მთელ რუსეთში ყოველ წელიწადს 25 მილიონი მანეთის აბრეშუმი იხარჯება, თვისივე ნაწარმოები, მათ შორის კავკასიიდგან ყოველ წლივ იგზავნება 10 მილიონი მანეთის აბრეშუმი; 50,000 ფუთი რომ არა ჰყოფნის, სამხლვარ-გარეთიდგან მოეზიდება. კარგი იქნება იქნობამდისინ გავრცელდეს აბრეშუმის ჰიის მოყვანა, რომ ეს ამოდენა ფული სულ აქ დატრიალდეს. უკეთესს აბრეშუმად ითვლება ჯერ იტალიის და საფრანგეთის ნაწარმოები, მერე ჩინეთის და იაპონეთისა და შემდეგ კავკასიისა.“

საქართველოში აბრეშუმის ჰიის თესლი გადმოტანილია აზიიდგან, მექვსე საუკუნის დამლევს და მეშვიდე საუკუნის დასაწყისს. გაზ. „ივერიაში“ ამას წინად ბ-ნი ნადიკვრელი სწერდა: ლექციებზედ გაუცდენლივ დადიან სამაზრო ზედამხედველნი და სემინარიის რექტორი. არამც თუ სამაზრო ზედამხედველნი, თვით ბ-ნ ნადიკვრელსაც არ შემოუხედნია ლექციებზედ. სამაზრო ზედამხედველნი, თუმცა საბჭოსაგან განსაკუთრებით არ იყვნენ მიწვეულნი, მათ ნება-ყოფლობაზედ იყო მინდობილი ჩამოსვლა ძ არ ჩამოსვლა, მაგრამ ზოგიერთნი მაინც ჩამოვიდნენ, ვგონებ, მარტო იმისთვის, რომ ვისთვისმე ესიამოვნებინათ; ერთხელ ორჯერ შემოიხედეს კიდეც ლექციებზედ, თუმცა გათავებამდის-კი არც ერთს არ დაუცდიათ. საეპარქიო-სამრევლო სკოლათა ზედამხედველი ბ-ნი ნ. გ. ტატიშვილი-კი ორიოდ დღის შემდეგ, ისიც მომეტებულ საქმეების გამო, ყოველთვის ესწრობა ლექციებს, სემინარიის რექტორი არქიმანდრიტი მ. სერაფიმეც ხანდისხან დაჰხედავს ხოლმე და ტკბილი სიტყვა არავისთვისა არა ჰშურს.

მ—შვილი.

⁂ **კარგი იქნება სახელმწიფოთ გარდვიდეს აფთიაქები თუ არა?** აფთიაქებში მოსამსახურეთ, პროვიზორებს და პროვიზორის თანაშემწეებს ფარმაცევტები ჰქვიან. იქნება მკითხოთ: საიდან შეიძლება, რომ კაცმა მიიღოს ფარმაცევტობაო? აი, ბატონებო, სიდან: უნდა გაათავოთ ექვსი კლასი (ოთხი მაინც) გიმნაზიაში, მიებაროთ მეაფთიაქეს აფთიაქის მოსწავლეთ, სადაც სამს წელიწადს უნდა იყოთ, მერმე გეძლევათ ნება უნივერსიტეტში ეგზამენის დაჭერისა, პროვიზორის თანაშემწესი, სამს წელიწადს კიდევ თავისუფალ აფთიაქში უნდა იმსახუროთ პროვიზორის თანაშემწეთ და მერმე გაქვთ ნება უნივერსიტეტში წასვლისა, ლექციების მოსმენისა. ლექციებს ისმენთ ორ წელიწადს და მერმე იჭერთ ეგზამენს პროვიზორისას. ასე, რომ, თუ პროვიზორობა გსურთ, მთელი 15 წელიწადია საჭირო. გახდით პროვიზორი 15 წლის აქეთ-იქეთ წოწიალით. მერმე რა? ბატონო, და თქვენ ხდებით ინტელიგენტი მუშა. ინტელიგენტ მუშათ იქნებით სულ თქვენს სიცოცხლეში, თუ ბედმა არ გაგიღიმათ და სადმე აფთიაქი არ გააღეთ საკუთარი. აფთიაქის გაღების შემდეგ იწყებთ არისტოკრატიულ ცხოვრებას. პროვიზორს 50 მან. ეძლევა თვეში ყველაფერი, მზა და სახლი, მაგრამ აფთიაქში მზა საჭმელისაგან ღმერთმა დაგიფაროს; იმიტომ, რომ, რაც უნდა მშვენიერი კუჭის პატრონი იყოთ, კატარი მაინც გაგიჩნდებათ; რაც უნდა სალი კბილების პატრონი იყოთ, უნდა გამოესალმოთ და სხვა. ცოლ-შვილს ხომ ვერ ეღირსები შენს დღეში და ან რათ გინდა, აფთიაქში ხარ დღე და ღამ, შენს ცოლ-შვილს ვინ მოხედავს. აი მესედი გაჭირვება მოსამსახურე ფარმაცევტებისა, რაც მოგახსენეთ და თუ ესენი ყველა ვიქონიეთ სახეში, სწორეთ ძლიერ კარგი იქნება, რომ სახელმწიფოთ გარდვიდოდეს აფთიაქები, რითაც გამოვიხედავთ თვალში და არ მოგვესპობა ორი დღის სიცოცხლე.

Aqricolla.

⁂ **სოხუმი. ქალის მოტაცება.** სოფ. მერხოულში (18 ვერსია სოხუმიდან) ამას წინად ქალი მოიტაცეს, სოფ. მერხოულში სცხოვრობს ერთი გერმანელი ახალშენი რეკკემანი, რომელსაც ჰყავდა გასათხოვარი ქალი. ამ გერმანელს მამულები აქვს და მოიჯარადრედ ერთი ახალგაზდა მეგრელი ჰყავდა. თურმე, ამ ყმაწვილსა და გასათხოვარ ქალს ერთმანერთი მოსწონებიათ და მტკიცე სიტყვაც მიუციათ ერთმანერთისთვის, მაგრამ, რაკი დედ-მამა ქალს ნებას არ აძლევდა მეგრელს ცოლად გაჰყოლიყო, ახალგაზდებს გაპარვა ერჩიათ და ერთს საღამოს მეგრელს წაეყვანა თავისი სატრფო—საცოლე. მშობლებმა მდევარნი დაადევნეს და ორივენი შეიპყრეს. გამოძიება სწარმოებს...

ი. ბ—ძე.

⁂ **დ. სამტრედია** (იმერეთი). **დაკეტილი და უსარგებლო სამკითხველო.** წარსულ წელს ნ. ს. ზალდასტანოვმა აქ დააარსა სახალხო სამკითხველო, რომელიც კარგად მორთულიც იყო და წინ-სვლაც ეტყობოდა. ახალ წლიდან სამკითხველოს საქმე ძლიერ დაქვეითებულია, მომეტებულად დაკეტილია. მიზეზი ამისა ის გახლავთ, რომ თითონ სამკითხველოს გამგეს კერძო საქმეები აქვს და მას უნდება, ხოლო სამკითხველო კი სრულიად მიყრუებულია. ამის გამო მრავალი კითხვის მსურველნი, მეტადრე სოფლიდან ჩამოსულები, ვერაფრით სარგებლობენ და უკმაყოფილონიც არიან. რად გვინდა უსარგებლო და დაკეტილი სამკითხველო! ასეთს ბოქლომით დარაზულ საუნჯეს მარტო სახელი აქვს და სახრავი კი არაფერი. იმედია, ყურადღებას მიაქცევენ, ვისიც ჯერ არს და სახალხო სამკითხველოს ხალხისათვის გააღებენ...

აქაური.

⁂ **დ. აბაშა** (სამეგრელო). **სუჯუნის ბაზრობის უხერხულობა.** დ. აბაშიდგან ოთხი ვერსის მანძილზედ მდებარეობს დ. სუჯუნა, სადაც ექვს ივლისიდან დანიშნულ იქმნა ბაზრობა მთელის ერთის კვირით. „გოროდმა“ (?) „დუხავოი მუზიკა“ დაიქირავა სხვა-და-სხვაობისთვის და „შიკისთვის“, მაგრამ თამამად შეიძლება კაცმა სთქვას, რომ ამისთანა დროზე ბაზრობას სუჯუნისათვის არაფერი სარგებლობა მოუტანია. პირ-იქით, ახლო-მახლო მეზობლები დაალარიბა და მუშა ხალხი საქმეს მოაცდინა იმისთანა დროს, როცა დღიური მუშა დღეში ოთხი აბაზიდან ექვს აბაზამდის ღირს! „დუხავოი მუზიკამ“ ხომ სულ აუყარა ხალხს გული მუშაობაზე და ტყეთ ქცეული გასამარგლავი ყანა ისევ ტყეთ დარჩა!.. რაც შეეხება ვაჭრობას სუჯუნის ბაზრობაზე, ისიც არაფერი იყო, გარდა ხანჯლის ტრიალისა და მანდილოსანთა სეირნობის მეტი. ან რა ვაჭრობა უნდა ყოფილიყო სუჯუნაში, როდესაც სხვა დიდ ქალაქებშიაც ვერ ხეირობს ბაზრობა. მაგისთანა შემთხვევაში საჭიროა დიდი უნარი, ცოდნა და გამოცდილება ვაჭრებისაგან, დროისით მომზადება, ხალხში გავრცელება და სხვა, ურომლისოდ ყოველი ამისთანა ვაჭრობა საზარალოა...

ბან-დონ.

⁂ **ქუთაისი. მისაბაძავი მაგალითი.** მადლობა ღმერთს, მგონი, ქუთაისიც აპირებს გაფხიზლებას სალათას ძილისგან. ერთი წელიწადია მას აქეთ, რაც ერთმა აქაურმა ქართველმა ვაჭარმა წარმოსთქვა აზრი ღარიბი ვაჭრების დამხმარებელი საზოგადოების დაარსების შესახებ. ეს აზრი ერთი წლის განმავლობაში თან-და თან გაიზარდა და უფრო სერიოზული ხასიათი მიიღო. ამ ზაფხულში ჩვენის სტუდენტების დახმარებით საზოგადოების წესდებაც შეადგნეს, რომელიც უნდა წარედგინოს დასამტკიცებლათ უმაღლესს მთავრობას. მომავალს საზოგადოებას ეწოდება „ქუთათურის ვაჭრების საზოგადოება“. მისი უმთავრესი მიზანია ნივთიერი დახმარება აღმოუჩინოს საზოგადოების გაჭირვებულ წევრებს. ნამდვილ წევრებათ მიიღებიან მხოლოდ ვაჭრები (ებრაელების გარდა). ამას გარდა საზოგადოებას აქვს მიზნათ მომავალში დააარსოს ქალაქ ქუთაისში კომერციული სასწავლებელი, წიგნთ-საცავი, უფასო სამკითხველო, საკვირაო კურსები და სხ. (მხოლოდ ვაჭრებისთვის), რაც ძლიერ ადვილი მოსახერხებელი იქნება ხუთი-ექვსი წლის განმავლობაში, თუ საქმეს რიგიანად გაუძღვენ. ვაჭრები, ნამეტურ ახალგაზდები, აღტაცებით ეგებებიან ამ აზრს; სჩანს, მათ შეუგნიათ ის მაღალი აზრი, რომელიც გვიქადაგებს

მოძმის ტკივილის გრძნობას და მას დახმარებას; ეტყობათ, ზოგიერთი ჩარჩებივით მარტო პირადის ინტერესებით არ არიან განმსჭვალულნი; მათ ასეთს გატაცებას ნიადაგათ აქვს კაცობრიობის სიყვარული; და რადგან ეს კი შეუგნიათ ვაჭრებ, სრული იმედი უნდა ვიქონიოთ, კიდეც განახორციელებენ თავიანთ აზრს. მიზანი სწორეთ სიმპატიურია, წესდებაც რიგიანათ არის შემდგარი. ვისურვებთ, ახალგაზრდა ვაჭრებს იმ აღფრთოვანებით დაეგვირგვინებიოთ თავიანთი საქმე, როგორათაც დაიწყეს

ამხანაგი.

⁂ **გორი. დამღრჩვალი კადეტის მაყაშვილის გვამის პოვნა.** ამას წინად მტკვარში დამღრჩვალი ყმაწვილი მაყაშვილი იპოვნეს გორიდან რამდენისამე ვერსის მოშორებით. წყალს გაერიყნა საბრალო.

⁂ **ს. მუხური** (სამეგრელო). **დაცემული ყოფა-ცხოვრება და მისი გაუმჯობესების მსურველი.** ეს ს. გაშენებულია მდ. ხობიწყლის ნაპირზე. ჰავით და ჩვენებური ადესის ღვინით ნაქებია მთელ სამეგრელოში. აქაური მცხოვრებნი ძალიან ჩამორჩენილნი არიან სწავლა-განათლებით სხვა ნაწილს სამეგრელოისას და არც მომავლისათვის არის სანუგეშო რამე. ამის მიზეზი, რათქმა უნდა, როგორც ყველგან, გულ-შემატკივარ და განათლებულ პირთა უყოლლობაა.

აქაური მცხოვრებნი მოკლებულნი ვიყავით ყოველგვარ სანიტარულ საშუალებას, რომლის მიზეზით ბევრი ჩვენთაგანი უდროოდ გამოესალმა წუთისოფელს, ახლა-კი ახალგაზდა ექიმის ნიკო შენ—ვას მეცადინეობით, რომელიც დროებით აგერ ორი წელიწადზე მეტია, რაც სოფელში იმყოფება, დიდი შალავათი გვეძლევა. ამის გარდა, ამ ახალ-გაზდა ექიმის რჩევით და თავად ნ-რი ჩიჩუას სანაქებო მეცადინეობით ამ მოკლე ხანში დაარსდა ჩვენში აფთიაკიც, დაუფასებელი განძი ჩვენი დღეგრძელობისა. აქამდის, სწორე გითხრათ, დიდ გაჭირვებაში ვიყავით ჩაცვივნულნი: ჯერ ექიმი უნდა მოგვეყვანა ან ზუგდიდიდგან ან წალენჯიხიდან, მერე კი წამლის მოსატანად უნდა წასულიყავით მეორედ იქვე, ან არა და ახალ-სენაკში და სამ-ოთხი დღე უნდა დაჰკარგოდა საწყალ მუშა კაცს ან არა და ვინ გამოიმეტებდა ამ ძვირფასს დროს და ავათმყოფი სიკვდილის მსხვერპლი ხდებოდა.

რასაკვირველია, ყველა ჩვენთაგანი ნათლად ხედავს სასარგებლო ნაყოფს ამგვარ მეცადინეობისას ზოგიერთ პირებისაგან და ღირსეულადაც ვაფასებთ. მომავალშიაც მოიმედე ვართ აგრეთვე ყურადღებას მიაქცევენ ისინი ჩვენი ყოფა-ცხოვრების მდგომარეობას, რომელიც ძალიან დაცემულია. ჩვენს ავლა დიდებას სიმინდი, ღვინო და შინაური საქონელი შეადგენდა, მაგრამ აგერ რამდენიმე წელიწადია, რაც სიმინდის და ღვინოს მოსავალმაც იკლო და ფასიც დაიწია. რაიცა შეეხება შინაურის საქონლის მოშენებას, ამასაც თავს ანებებენ, რადგანაც უწინდებულ სარგებლობას აღარ ხედავენ. რადგანაც მიწა სულ ყანებს უჭირავს, ამიტომ ზაფხულობით და გაზაფხულობით სხვაგან ინახავენ მომეტებულ ზაქ'ა იხდიან და მეორეთ, რადგანაც ყველს და სხვა რამე მოსავალს ბაზარი აღარა აქვს, ამიტომ იძულებულნი არიან თავი დაანებონ საქონლის მოვლას და მოშენებას.

ასე ეკონომიურად დაქვეითებულმა ხალხმა არ იცის, რას ჩასჭიდოს ხელი.

ამიტომ საჭიროა ჩვენში იმისთანა პირები, რომელნიც სულით და გულით მოიწადინებენ ჩვენი ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესებას. ვისურვებთ გულით და სულით ჩვენი ხალხის მოწინავე საზოგადოებისათვის ამგვარ სასარგებლო საქმის შედგომას და შესრულებას.

ი. ცხადაია.

თეატრის მატიანე.

ს. ხაშმი (ივრის ხეობა). ამ თვის 6-ს, ს. ხაშმში სცენის მოყვარულთ ქ-ნთ ქვლივიძისა, ცისკარაშვილისა და ბ ნ ბაქრაძის თაოსნობით წარმოადგინეს ბ-ნ გუნიას დრამა „და-ძმა“ და ვოდევილი „ქკუისა მჭირს“. ყველას კარგად შეესწავლა როლი, ყველა შესაფერად ასრულებდა თავისს როლს. ქ-ნმა საყვარელიძისამ (მარინე), ღათ. ნახუცრიშვილმა (ოტია), №-მა (გაიოზი) და იმედაშვილმა (ფაშა-ეფენდი) აღტაცებაში მოიყვანეს დამსწრე საზოგადოება. ნამეტნავად უკანასკნელმა მეტად ხელოვნურად შეასრულა თავისი როლი. ტფილისის სცენაზედაც არ გვინახავს მაგრე ხელოვნურად აღმსრულებელი ფაშა-ეფენდის როლისა.

ვოდევილმა ძალიან მხიარულად ჩაიარა. იმედაშვილი და ნახუცრიშვილი თითქოს ამ ვოდევილისთვის იყვნენ დაბადებულნი—თუმცა ვოდევილი არ თხოულობს, მაგრამ ამათ ისე ხელოვნურად ჩაურთეს შიგ კუპლეტები „ვა-ვაია“, რომ კაცს ეგონებოდა—ეს კუპლეტები ვოდევილს ეკუთვნისო. ხელოვნურადაც იმღერეს. მრავალჯერ გაამეორებინეს.

საზოგადოება ბლომად დაესწრო. ახლო-მახლო სოფლებიდან ბევრი მოვიდა წარმოდგენაზე დასასწრებლად.

შემოსავალი (50 მანათამდე) გამგეთ აქაურ წიგნთ-საცავისთვის გადასდეს.

ამავე მიზნით ს. საგარეჯოშიაც აპირობენ 20 ამ თვეს „ციმბირელის“ დადგმას. ქ ნი საყვარელიძისა, ბ-ნნი იმედაშვილი და ნახუცრიშვილი ამ პიესაშიაც მიიღებენ მონაწილეობას. იმედია, აქაც ისე ასიამოვნებენ საზოგადოებას, როგორც ს. ხაშმში.

ა—ი.

წვრილი ამბავი

გაზეთები ქვეყანაზე. ერთს მოცლილს სტატისტიკოსს გამოუანგარიშნია, რომ ქვეყნიერობაზედ იბეჭდება 12 მილლიარდი თაბახი სხვა-და-სხვა გაზეთ-ჟურნალისა. რომ უფრო თვალსაჩინოდ წარმოვიდგინოთ, თუ რაოდენი ქაღალდი იხარჯება ამ ჟურნალ-გაზეთებზედ, სტატისტიკოსი ამბობს, რომ ყველა გაზეთები რო გავშალოთ [illegible] ადგილზედ, ისინი დაიჭერენ 30 ათასს ოთხ-კუთხს მეტრსაო. უკეთუ ერთა-მეორეზედ დავაწყოთ, იგინი შეადგენენ მთას, სიმაღლით 80 ათას მეტრიანს.

ამიერ კავკასიის რკინის გზა

მატარებლის ახალი მიმოსვლა 6 მაისიდგან.

თბილისიდან—ბათომში მატარებელი № 1 გადის დილის 9 ს. 15 წ. მიდის ბათომში სად. 8 ს. 48 წ.

თბილისიდან—ბაქოში მატარებელი № 2 გადის ღამის 9 ს. 34 წ. მიდის ბაქოში 1 ს. 2 წ. დღის.

ბათომიდან—თბილისში მატარებელი № 2 გადის დილის 7 ს. 45 წ. მოდის თბილისში საღამოს 8 ს. 34 წ,

ბაქოდგან—თბილისში მატარებელი № 1 გამოდის დღისით 4 ს. 1 წ. მოდის თბილისში 8 ს. 30 წ. დილ.

თბილისიდან—ბათომში მატარებელი № 3 გადის საღამოს 8 ს. 45 წ. მიდის ბათომში დილის 8 ს. 45 წ.

ბაქოდან—თბილისში მატარებელი № 3 გამოდის ღამის 12 ს. 20 წ. მოდის თბილისში სად. 7 ს. 10 წ.

ბათომიდან—თბილისში მატარებელი № 4 გამოდის საღამოს 8 ს. 35 წ., მოდის თბილისში დილ. 9 ს. 11 წ.

თბილისიდან—ბაქოში მატარებელი № 4 გადის დღისით 11 საათ. მიდის ბაქოში დილით 6 ს.

გემების მიმოსვლა შავ ზღვაზედ

საფოსტო—პასაჟირო გემები

ხათომიდან 1) გემი წრაფის რეისით, გადის შაბათობით, შუადღის 12 საათზედ, შეივლის ნოვოროსიისკში, იალტაში და სევასტოპოლში.

ბათომიდან 2) პირველი ირგვლივის გზის გემი გადის შაბათობით, ღამის 2 საათ, შეივლის ყველა ნავთ-სადგურებში.

ბათომიდან 3) მეორე ირგვლივის გზის გემი გადის სამშაბათობით, ღამის 2 საათზედა., შეივლის ყველა ნავთ-სადგურებში.

ბათომიდან 4) მესამე ირგვლივის გზის გემი—პარასკეობით, ღამის 2 საათზედა., შეივლის ყველა ნავთ-სადგურებში.

ბათომიდან პირდაპირი გემი ხუთშაბათობით, შუადღის 12 საათზედ; შეივლის ნოვოროსიისკში, ქერჩში, ფეოდოსიაში, იალტაში და სევასტოპოლში.

საბარგო-საპასაჟირო გემები.

ბათომიდან გადიან პარასკეობით, 8 ს. საღამოზე. შეივლიან ყველა ნავთ-სადგურებში.

ბათომიდან გადიან ოთხშაბათობით, ღამის 2 საათზედ, შეივლიან ფოთში, ნოვოროსიისკში და სევასტოპოლში.

ბათომში მოდიან გემები

ირგვლივი გზის გემები მოდიან ბათომში ორშაბათობით, ხუთშაბათობით და პარასკეობით, საღამოთი.

პირდაპირი გზის გემები მოდიან ბათომში ოთხშაბათობით, დილით.

სწრაფი რეისის გემები მოდიან ბათომში პარასკეობით, ნაშუადღევს.

საბარგო-საპასაჟირო გემები, პირდაპირი, სამშაბათობით, ნაშუალამევს. ჩვეულებრივი—პარასკეობით, შუადღეს.

დამზღვევი საზოგადოება

„იაკორი“

შეიძლება დაიზღვას თანხა განსაზღვრულის ვადით, ასე რომ იმ პირს, რომელმაც დაიზღვია თანხა, ანუ პოლისის პატრონს, რაკი პირობაში ნაჩვენები განსაზღვრული ვადა დასრულდება, მიეცემა ფული სრულიად; ხოლო, უკეთუ დაზღვეული პირი გარდაიცვალა პირობაში აღნიშნულ ვადამდე, მაშინ მემკვიდრენი ფულს აღარ შეიტანენ და დაზღვეულ თანხას ვადაზედ უნაკლულოდ მიიღებენ და, გარდა ამისა, საზოგადოება აძლევს ყოველ წელიწადს პოლისის პატრონს სარგებელს 5°/₀ დაზღვეულის თანხიდამ.

მაგალითი: მამა, რომელიც 30 წლისაა, ვსთქვათ, აზღვევს პატარა შვილისათვის თანხას 5,000 მანათს, იმ პირობით, რომ იგი თანხა შეიტანოს 21 წლის განმავლობაში.

ამ დაზღვევაში იმან უნდა იხადოს ყოველ ოთხ თვეში ერთხელ,—21 წლის განმავლობაში,—**74** მანათი და **50** კაპ.

თუ ვინიცობაა მამა მოკვდა, თუნდაც დაზღვევის პირველ წელიწადსვე, შვილს ეძლევა 20 წლის განმავლობაში ყოველ წლივ სარგებელი 250 მანათი და, გარდა ამისა, რა დადგება პირობაში აღნიშნული ვადა, დაზღვეული თანხა 5.000 მანათიც მიეცემა.

უკეთუ დაზღვეული პირი იცოცხლებს აღნიშნულ ვადაზედ მეტს, მაშინ დაზღვეული თანხა ეძლევა მას, ანუ პოლისის პატრონს.

დაზღვევა მიიღება ამიერ-კავკასიის უმთავრეს აგენტის საოლქო სამმართველოში **თევდორე ალექსანდრეს ძე ივანოვთან**, ქ. ტფილისში, ერევნის მოედანზე, ველიამინოვის ქუჩის და სომხების ბაზრის კუთხეში, № 2.

ტელეფონი № 51.

Страховое общество

„ЯКОРЬ“

Страхованіе принимается въ Окружномъ управленіи Главнаго Агента Закавказскаго края ФЕОДОРА АЛЕКСАНДРОВИЧА ИВАНОВА.

Г. Тифлисъ, Эриванская площадь: на углу улицъ Вельяминской и Армянскаго базара, д. № 2.

Телефонъ управленія № 51. (100—40)

ბუღალტერიის შესწავლა

ვისაც საფუძვლიანად ჰსურს შესწავლა

სრული კურსი ბუღალტერიისა სამს თვის განმავლობაში, შეუძლიან მიჰმართოს ტფილისის საურთიერთო სამეურნეო ბანკში უფროს ბუღალტერს **ი. ია. ბრონ ფონ ბრენნერს.**

ფასი მთელის ბუღალტერიის საფუძვლიანად შესწავლისა **40** მან.

КУРСЪ БУХГАЛТЕРІИ,

состоящій изъ слѣдующихъ предметовъ:

1) Бухгалтеріи двойной итальянской по разнымъ отраслямъ торговой промышленности.
2) Коммерческой риѳметики (банковыя и торговыя операціи),
3) Ариѳметики н счетахъ,
4) Коммерческой экономіи,
5) Торговыхъ и вексельныхъ узаконеній,—преподаетъ И. Я. БРОНЪ ФОНЪ БРЕННЕРЪ, гл. бухгалтеръ Тифл. общ. взаим. сел.-хоз. кредита.

Плата за весь курсъ 40 руб.

Курсъ 3-мѣсячный, при ежедневныхъ занятіяхъ, въ теченіе 2-хъ часовъ, по вечерамъ. Начало занятій—1-е число каждаго мѣсяца. Спросить: Михайловская, 71. ттестаты за успѣшныя занятія реальнаго училища и школы садоводства. (100—55)

Магазинъ

О. ЗИБЕРТА

Дворцовая.

гравюры, фотографіи и платинотипы съ произведеній ИЗВѢСТНЫХЪ ХУДОЖНИКОВЪ фирмы Буссо, Валадонъ и Кº въ Парижѣ, а также Берлинскаго и Мюнхенскаго фотографич. обществъ.

ЧЕКАННОЙ РУЧНОЙ РАБОТЫ

СЕРЕБРЯННЫЯ ВЕЩИ фабрики МЮЛЛЕРЪ въ РИГѢ.

Большой выборъ: *альбомовъ дорожныхъ и дамскихъ* НЕССЕСЕРОВЪ, БЮВАРОВЪ, ПОРТЪ-МОНЭ, ПОРТФЕЛЕИ и т. под., МЕЛЬХІОРОВЫХЪ ВЕЩЕЙ издѣлій изъ *слоновой кости* и т. д. и т. д.

Заведеніе для переплетныхъ и галантерейныхъ, какъ художественныхъ, такъ и простыхъ работъ.

(50—50)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 18 Іюля 1897 г.

სტამბა შ. შარაძისა და ამხ. ნიკ. ქ. № 21.

რედაქტორ-გამომცემელი ვალ. გუნია